Важливо пам'ятати, що пестициди повинні бути використані тільки в тих випадках, коли інші методи захисту рослин не дають задовільних результатів.

Важливо пам'ятати, що пестициди повинні бути використані тільки в тих випадках, коли інші методи захисту рослин не дають задовільних результатів.

Важливо пам'ятати, що пестициди повинні бути використані тільки в тих випадках, коли інші методи захисту рослин не дають задовільних результатів.

(Рукописний текст. 3.12.1949)

Література

1. А. Н. Волков, Б. А. Герасимов, П. В. Заринг и др. Пособие по борьбе с вредителями и болезнями сельскохозяйственных культур. Москва, 1948.
2. Ю. Н. Безобразов, А. В. Можчанов, А. М. Никифоров. Гексахлоран и его применение для борьбы с вредителями сельскохозяйственных культур. Москва, 1948.
3. К. А. Гар. Работа НИУИФ по созданию и организации производства высокоеффективных инсектицидов и улучшению качества и технологии ранее применявшихся препаратов. Тезисы к лекциям XVIII пленума Секции защиты растений ВАСХНИЛ, Баку, 1949.
4. Д. Фрир. Химия инсектицидов и фунгицидов. Москва, 1948.

5. Н. Н. Сер-Сербина. Стабилизируемость графитовых суспензий танином при разных концентрациях щелочи. Сборник „Исследования по физико-химии технических суспензий“, М.—Л., 1933.
6. П. А. Ребиндер и К. П. Ребиндер. Пассивирующие действия адсорбционных слоев поверхностно-активных веществ. Журн. физ. химии, т. 1, вып. 2, 1930.
7. В. Клейтон. Теория эмульсий и техника их получения. М.—Л., 1933.
8. Ю. К. Новодранов. Бентонит как стабилизатор суспензии кремнефтористого натрия. Коллоидный журнал, т. VIII, вып. 5, 1946.
9. С. С. Филатов. К вопросу о генезисе бентонитовых глин Грузии. Сборник „Бентонитовые глины Грузинской ССР“, Тбилиси, 1941.

პარაზიტოლოგია

თ. როდონაია

საქართველოს მთაცემის ძეგლმდებარ ცხოვილთა აჩალი
 ებატოდა — *TRICHOCEPHALUS GEORGICUS SP. NOV.*

(ჭარმოადგინა აყადემიის ნამდვილმა წერტილმა ფ. ზაიცევმა 2.2.1950)

მტაცებელ ძუძუმწოვარ ცხოვილთა ჰელმინთოლოგიური მასალის შესწავ-
 ლისას ჩენ მიერ მცდასა და ტურას ბრმა ნაშრავსა და კუჭში ნაპონია ნემა-
 ტოდა *Trichocephalus*-ს გვარიდან, რომელიც მთელი რიგი კონსტანტიური ანა-
 ტომიურ-მორფოლოგიური ნიშანთვისებებით განსხვავდება მტაცებელ ძუძუ-
 მწოვარ ცხოვილებში დღემდე აღწერილი ტრიხოცეფალუსის სახეობებისა-
 გან, რის გამოც ეს ჰელმინთი ახალ სახეობად გამოვყავით. სახეობის აღწერის-
 დროს ვისარგებლეთ ჩენდ ლერისა და არტიუხის [1] მიერ რეკომენდე-
 ბული პრინციპით.

Trichocephalus georgicus sp. nov.

მასპინძელი — *Vulpes vulpes alticola* — მთის მელა, *Thos aureus* — ტურა,
 ლოკალზაკა — ბრმა ნაშრავი, კუჭი,
 მოპოვების სიხშირე — 10 შემთხვევა,
 ინგაზის ინტენსივობა — 1-20 ეგზემპლარი,
 მოპოვების ადგილი — საქართველოს სსრ (კასპის, თბილისის, ფოთის,
 გარდაბნის რაიონები).

სახეობის აღწერა (საკუთარი გამოკვლევის მიხედვით)

მამრი. სხეულის საერთო სიგრძე 40,2—52 მმ, თავი მდებარეობს ტერ-
 მინალურად. თავის სიგანე — 0,014—0,018 მმ. სხეულის წვრილი ნაწილი, რო-
 მელშიაც მოთავსებულია საყლაპავი მილი, შედგება მკვეთრად გამოხატული
 ერთბირთვიანი უჯრედების ძეწვისაგან. სხეულის წვრილი ნაწილის სიგრძე
 32—37 მმ, მსხვილი ნაწილის სიგრძე 8,5—15,1 მმ. თავიდან 0,50—0,76 მმ-ზე
 ჩენ მიერ შემჩნეულია უწესრიგოდ განლაგებული ნაზი კუტიკულური ბალთები,
 რომელიც გრძელდება 1,7—1,9 მმ-ზე. სხეულის სიგანე მსხვილი და წვრილი
 ნაწილის შეერთების ადგილას 0,21—0,22 მმ.


მსხვილი ნაწილის მაქსიმალური სიგანე 0,50—0,66 მმ.

სათესლე დახვეულია სპირალურად მთელ მანძილზე, *Vas deferens*-ის
 სიგრძე — 8,5—10,17 მმ, სიგანე — 0,50—0,12 მმ. *Ductus ejaculatorius*-ის სიგრძე
 — 6,5—7,12 მმ. თესლსავლისა და თესლმცრავების საზღვირზე მილის სიგანე.

Felidae და *Canidae*-თა ღვანის წარმომადგენლდ შრაცებულ რეზუმეზოგან ცხოველებში აღწერილი
Trichocephalus-ს სახეობის შეფარგმნით დასასიათვება

(ცვლა განაზომი მოცუმედულია მილიმეტრებით)

მდგრადი ნოტი	სახეობის ძირითადი მიზნები	<i>Trichocephalus vulpis</i> (Froelich, 1789)		<i>Trichocephalus serrata</i> (von Linstow, 1879)		<i>Trichocephalus caucasicus</i> (von Linstow, 1889)		<i>Trichocephalus georgicus</i> sp. nov. (ჩემი მოცუმედული მიზნებით)	
		♂	♀	♂	♀	♂	♀	♂	♀
1	სხეულის სიგრძე	45—60,5	62,0—75	40	48	—	31,5	40,2—50	45—55
2	სხეულის მაქსიმალური სიგრძე	0,52—0,64	0,55—0,60	—	—	—	—	0,50—0,66	0,53—0,70
3	საოცნელის ტონის	საჭა	—	არაა ცნობილი	—	არაა ცნობილი	—	სპირალურად ფახულები	—
4	<i>Vas deferens</i> -ს სიგრძე	6,8	—	—	—	—	—	8,5—10,17	—
5	<i>Ductus ejaculatorius</i> — სიგრძე	4,7	—	—	—	—	—	6,5—7,12	—
6	სპიკულის სიგრძე	8,31—11,10	—	3,9	—	არაა ცნობილი	—	2,12—2,86	—
7	სპიკულის დასტაციური ჯირილის ფრაქტა	ბლაგი	—	—	—	—	—	წილიანი	—
8	სპიკულის ჩანთის მასივი	ნაწილობრივ შეიარაღებ.	—	—	—	—	—	ნაწილობრივ შეიარაღებ.	—
9	კერტინის სიგრძე „საკრა- ტებით“	—	0,083—0,093	—	0,056	—	0,072	—	0,075—0,085
10	კერტინის სიგრძე „საკრა- ტებით“	—	0,037—0,040	—	0,039	—	0,036	—	0,036—0,040
11	მასპინძლი	მედული, ტელა, ძაღლი	შინკური კატა	შინკური კატა	შინკური კატა	—	—	მელა, ტელა	—
12	ლოკალისებრა	ბრძანა და წერტილი ნაწლავი	ნაწლავი	ნაწლავი	ნაწლავი	—	—	ბრძანა ნაწლავი, კლება	—
13	გვოგჩატყული გაერტო- ლება	კოსმიკოპოლიტი, სპრე (აუზირბარჯანი, აუზიაზეკი, ყაზაბირი)	სამშრომ ამურიკა	სამშრომ ამურიკა	სამშრომ ამურიკა	—	—	საჭარიცელოს სპრ (კასპი გარდაბანი, ფოთი)	—



♂ *Trichocephalus georgiens* sp. nov.

0,12—0,14 მმ. სპიკული უფერო, კენტი, არაერთგვაროვანი სტრუქტურის, სადაც შევენდლია გაეგარჩიოთ პროქსიმალური და დისტალური ნაწილი. სპიკულის სიგრძე—2,12—2,86 მმ. მისი სიგანე პროქსიმალურ ნაწილში—0,036 მმ. დასტალური ნაწილი წაწევერებულია. სპიკული მოთავსებულია სპიკულის ჩანთაში, რომელიც დისტალურ ნაწილში შეკარალებულია ჰუტიკულური ქაცვი-ბით. კლოაკა ისსნება სხეულის ბოლო ნაწილის ოდნავ ვენტრალურად.

შედედრი. სხეულის სიგრძე 45—55 მმ. თავის სიგანე 0,014—0,018 მმ. წვრილი ნაწილის სიგრძე 35—38 მმ. კუტიკულური ბალთები იწყება თავიდან 0,80—0,85 მმ-ზე და გრძელდება 1,8—2,1 მმ. საყლაპავი მილის ნაწლავოან შეერთების აღვილას სხეულის სიგანე 0,32—0,40 მმ. მსხვილი ნაწილის გაქსი- მალური სიგანე 0,53—0,70 მმ. ვაგინა ისსნება სხეულის საყლაპავ გილთან შეერთების აღვილას, ოდნავ ქვემოთ. კულვა შემოსახლევრულია კუტიკულური გამონაზარდით. კვერცხის სიგრძე საკიბებით 0,075—0,085 მმ. სიგანე 0,036—0,040 მმ.

ზემოთ ჩვენ ვიძლევით მტაცებელ ძუღუშწოვარ ცხოველებში აღწერილ ტრიბოცენითა სახეობების შედარებით ცხრილს.

დაფერენციალური დაიგნოსტიკური დოკუმენტის მონაცემების მიხედვით [2,3] *Felidae*-თა და *Canidae*-ბის ოჯახის წარმომადგენელ მტაცებელ ძუძუმშვიარ ცხოველებში ღლებით რეგისტრირებულია ტრიხოცეფალის 3 სახეობა: 1) *Trich. vulpis*—მგელში, მელასა და ძალლში, 2) *Trich. serrata* და 3) *Trich. campanula*—შინაურ კატაში. ჩვენ მიერ ძალური ფორმა განსხვავდება ზემო-სხენებული სახეობებისაგან შემდეგი ნიშანთვისასხებით: სათესლის ფორმით, სპიკულის სიდიდით და მოყვანილობით, თესლსავილი და ოქსლმფრევები მილის ზომებით, სპიკულური ჩანთის შეიარაღების ხასიათით და კვერცხების სიდი-დით (იხ. ცხრილი 1). გარდა ამისა, ორი უკანასკნელი სახეობა აღწერილია შინაურ კატაში, ე. ი. ფილოგნეტურად დაშორებული ჯგუფის ცხოველში.

ზემოაღნიშნული ანატომიურ-მორფოლოგიური მონაცემები საშუალებას გვაძლევს, რათა ეს ფორმა გამოყოფთ ახალ სახეობად, რომელსაც ვუწოდებთ *Trichacephalus georgicus* sp. nov.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ଶିଳ୍ପିଙ୍କାରୀଙ୍କ ନିର୍ମାଣ

ପ୍ରକାଶକ

(ରାଜ୍ୟଶିଳ୍ପୀଙ୍କ ମନ୍ତ୍ରସଂଗ୍ରହ ୩.୨.୧୯୫୦)

କେବଳପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା ଓ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟକାରୀ

1. Е. С. Артюх. Особенности диагностики трихоцефалов и данные, необходимые при описании видов. Известия Куйбышевского сельскохозяйственного института, т. 9, 1947.
 2. M. Neveu-Lemire. Traité d'Helminthologie médicale et vétérinaire. Paris, 1935, p. 1398—1301.
 3. А. М. Петров. Глистные болезни пушных зверей. Москва, 1941, стр. 123—125.
 4. А. М. Петров. Гельминты и гельмитозы охотничьес-промышленных пушных зверей, Москва, 1949 (рукопись, Всесоюзном Инст. гельмант. им. акад. Скрябина).

ფიზიოლოგია

6. ჰითინაძი და აკადემიკის შევრ-კორესპონდენტი პ. შომილიანი

გიოლოგიურად აჩტიურ ინიციატივათა გავლენა ჩათვის
 ჩანასახის ამნიონის მოქმედებაზე

(წარმოადგინა აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილმა 23.10.1949)

ქათმის ემბრიონის განვითარება იწყება განაყოფიერებულ კვერცხში გარეგანი ხელშემწყობი პირობების ზეგავლენით, როგორიცაა გარკვეული ტემპერატურა, განათება, მოსევნება და სხვა. მრავალი გამოკვლევით ცნობილია, რომ კვერცხი წარმოადგენს შედარებით დამოუკიდებელ დროებით სისტემას, რომელიც შეიცავს ცველათერს, რაც განვითარებისათვის აუცილებელია. მთელი ეს სისტემა განხოლოვდება და ერთანადება გარსებით — მემბრანებით, რომელიც აგრეთვე დროებით სტრუქტურას სკუთვნია. ემბრიონის განვითარებისას კვერცხში მთავარი გარსებია: ალანტიოსი, ამნიონი და ყვითრის პარკი [1]. ალანტიოსი ჩნდება ინკუბაციის წეორე დღის ბოლოს. მიღებულია, რომ ალანტიოსი მონაწილეობს გაზთა ცვლაში. მეორე მემბრანა ყვითრის გარსია, რომლის საშუალებით წარმოებს საკვები ნივთიერების აღსრუბენი. მესამე გარსის — ამნიონის განვითარება იწყება ინკუბაციის მეორე საათზე. მეორე დღის დასასრულს ემბრიონი მთლიანად ითარება ამნიონით. ამნიონის სწრაფი ზრდის გამო ემბრიონსა და ამნიონს შორის ჩნდება სიერცე — ამნიონის ღრუ. ეს ღრუ შეიცავს სითხეს, რომელშიაც ემბრიონი თავისუფლად ცურავს და რყევითს მოძრაობას აწარმოებს. არსებობს მითოთება იმის შესახებ, რომ მეხუთე დღის ბოლოს ამნიონში ჩნდება კუნთოვანი ბოჭკოები [2].

ემბრიონის განვითარებისა და უჯრედოვან სისტემათო ფორმირების დროს ამნიონის და ემბრიონის მოძრაობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანთვისებას.

ერთ-ერთმა ჩევნოაგანმა შეისწავლა ქათმის ემბრიონის მოძრაობის განვითარების მსეულელობა და ხასიათი [3]. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკენათ, რომ ქათმის ემბრიონის მოძრაობის განვითარება ორი მიმართულებით მიმდინარეობს და მათ სხვადასხვა საფუძველი უნდა ჰქონდეთ.

პირველი სახის მოძრაობა იწყება ნერვული სისტემის ჩასახვამდე ინკუბაციის მეორე დღის დასასრულს. ინკუბაციის მეხუთე დღეს შესამჩნევი ხდება ამნიონისა და ემბრიონის ხელი საქანისებური მოძრაობა. იგი ალინიშვილის თანაბარი რიტმით მინუტში 14—16-ჯერ, 2—2,5 მმ ამპლიტუდით. მერვე დღისათვის ეს რიტმული მოძრაობა იზრდება როგორც რიტმის, ისე ამპლი-

ტუდის მხრივ და მინუტში 23—24-ს აღწევს, აკეთებს რა 45° — 180° -მდე ჟერბრუნების კუთხეს. ამის შემდეგ იწყება ამ მოძრაობის შემცირება და მე-15 დღეს ის ძალიან სუსტი და იშვიათია.

შეორე სახის მოძრაობა იწყება ინკუბაციის მეექვსე დღეს ნერვული სის-ტემის ჩასახვის შედეგ. ის ვითარდება ორტემული მოძრაობის ფონზე. მე-17 დღი-სათვის ემბრიონისა და ამნიონის რიტემული მოძრაობა თითქმის ქრება, ხოლო ნერვული ჭარმოშობის მოძრაობა ინტენსიურად ვითარდება. ამ მოძრაობათა-გან ზოგიერთების საბოლოო ფორმირება გრძელდება პოსტემბრიონული გან-ვითარების აღრულ პერიოდშიც [3].

წინა ნაშრომში ჩვენი ყურადღება უმთავრესად მეორე სახის მოძრაობაზე იყო მიქცეული, სახელდობრ, იმის გამორკვევაზე, თუ როგორ ხდება ემბრიო-ნის ნორმალური განვითარების პირობებში იმ ნერვული მამოძრავებელი კომპო-ნენტების ფორმირება, რომელიც შემდეგობის ცხოველის ქვევითი აქტების კომპლექსში შემავალ გარკვეულ რეაქციას იძლევიან. პირველი სახის, ე. ი. ემბრიონისა და ამნიონის რიტემული მოძრაობის შესახებ კი ისეთი აზრი გამოვ-თქვით, რომ ის მეტაბოლიტები, რომელიც ემბრიონის ქსოვილთა ხისტემის ორგანიზაციაში მონაწილეობენ, უნდა მოქმედებდნენ აგრეთვე ამნიონის კუნთო-ვან ელემენტებზე და იწვევდნენ მათ რიტემულ შეკუმშვეს.

წინამდებარე შრომაში მოცემულია ემბრიონისა და ამნიონის მოძრაობის მექანიზმის შესწავლის ცდა ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ქიმიური ნივ-თიერების მოქმედებით. ამ მიზნით ჩვენ მიერ დაყენებული იყო ცდები აცე-ტილქოლინით, ადგნოზინტრიფულსფარით და ჰისტამინით. ცნობილია, რომ ეს ნივთიერებანი უშაულო გავლენას ახდენენ ცოცხალ აგზინგად და შემკუტველ წარმოქმნებზე. ჩვენი გამოვლილით იმ მოსაზრებიდან, რომ დასმულ კითხვაზე გარკვეული პასუხის მიღება შეიძლება კუნთოვანი სისტემის შესწავლის დროს მიღებულ შედეგების ამნიონის რიტემულ მოძრაობათი შესწავლით მიღებულ შედეგებთან შედარებით.

მ ე თ ო დ ი კ ა

გამოკვლევას ვაწარმოებდით უმთავრესად ინკუბაციის 4—14 დღის ასაკ-ში, როდესაც ემბრიონისა და ამნიონის რიტემულ მოძრაობაზე კარგად შეიძლე-ბა დაკვირვების ჭარმოება. კვერცხის გაზუქებით უსაზღვროვდით ემბრიონის ადგილმდებარეობას, ვადგენდით მოძრაობის ხასიათს და ვაწარმოებდით რიტ-მის ზუსტ დათველას. შემდეგ ვხვრეტდით ნაკუჭს და შპრიცით შეგვყავდა ქი-მიური ნივთიერებანი. ამ ოპერაციის დროს ცრონისტილად ვიქტორია, რომ არ დაგვეზიანებინა სისხლის ძარღვები, რომელთა განლაგებას წინასწარ ვითვა-ლისწინებდით ვამავალი სხივის შემწეობით. აქტივატორების ხსნარებს ვამზა-დებდით ტიროდეს ხსნარზე. დეგრანზინტრიფულსფარის მეაგვს ვამზარობდით ნიტრიომის მარილის სახით, pH-ის გრადუას ვადგენდით 0,2 M ნატრიუმ-ფუნგსფარის ბუფერით 1 მლ რაოდენობით. pH-ის გავლენის ვამოკვლევის დროს აცეტილქოლინი შეგვყავდა ბუფერთან ერთად. კალციუმისა და მაგნიუმის

გავლენას შევისწიავლიდით მათი კონცენტრაციის ათჯერადი გაზრდით ტირო-დეს ხსნარში.

წინასწარი ცდებით დადგნილი გვექნდა აქტივატორებისა და მარილე-ბის ისეთი კონცენტრაციები, რომელიც იძლეოდნენ მაქსიმალურ ეფექტს და ამავე დროს მათ არ ჰქონდათ უარყოფითი გავლენა ემბრიონის შემდგომ გან-ვითარებაზე.

ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდი იმდენად უვნებელი აღმოჩნდა, რომ ქიმიური ნივთიერების კვერცხში რამდენჯერმე შეყვანის შემდეგ საკონტრო-ლოდ დატოვებული ემბრიონები ვითარდებოდნენ და ნორმალური წიწილები იჩეკებოდნენ.

ც დ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი

წინასწარ გამოცდის შედევგად ჩვენ შევჩერდით აცეტილქოლინის კონ-ცენტრაციაზე 1:2000 0,5—1 მლ რაოდნობით. ეფექტი მაშინვე მეღავნდებო-და შესამჩნევი ლატენტური პერიოდის გარეშე. იწყებოდა დამახასიათებელი მოძრაობის გაძლიერება, მცირე ასაკის (3—5-დღიანი) ემბრიონებშე, როდესაც კარგიდ ჩანს გულის მშვაობა, აცეტილქოლინის გავლენა პირველ ყოვლისა გულის მოქმედების გაძლიერებას იწვევდა. ამავე დროს აშეარა ემჩნეოდა გა-ძლიერება თვით ემბრიონული მიღების მოხვრასა და გაშლას. სამდლიან ემბრი-ონზე ოდნავ შესამჩნევი მოძრაობა იმდენად ძლიერდებოდა, რომ გული ხან იმალებოდა ემბრიონული მიღების დროს, ხან კი ისევ გამოჩნდებოდა გაშლის დროს. ეფექტი გრძელდებოდა არა უმცესეს 1—2 მინუტისა. ზემოქმე-დების გამეორებისას აცეტილქოლინის ეფექტი მეღავნდებოდა გულზე, ხოლო ემბრიონის მოძრაობა თითქმის არ იცვლდებოდა. უფრო მეტი ასაკის ემბრიო-ნებზე აცეტილქოლინის მოქმედება გაცალებით უფრო აშეარა ხდებოდა. ადვი-ლიდ შესამჩნევი იყო როგორც პირველი, ისე მეორე გვარის მოძრაობის გაძ-ლიერება, რაც გამოიხატებოდა ემბრიონის გადაადგილების კუთხის გადიდება-ში და ასევე მისი მოხვრისა და გაშლის გაძლიერებაში. ამნიონის სპაზმური შეკუმშვები იმდენად ძლიერდებოდა, რომ მთელი გარემო, ე. ი. ამნიონის სითხე, ცვითრი და სისხლის ძარღვები, იწყებდნენ ტალღისებურ მოძრაობას. დამახასიათებელია, რომ მოძრაობათა გაძლიერების დროს რიტმი არ იცვლე-ბოდა.

აცეტილქოლინის გავლენა უფრო აშეარად ჩანდა მეტი ასაკის ემბრიო-ნებზე, დაახლოებით ხერცე დღის დასასრულიდნ, როდესაც იწყება სხეულის ცალკეული ნაწილების ლოკალურ მოძრაობათა ჩამოყალიბება. აცეტილქოლი-ნის ზეგავლენით რიტმული მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდებო-და კიდურების, თავის, ტანისა და ნისკარტის მოძრაობა, რომელიც იმდენად რთულად და მკეთრად გამოიხატებოდა, რომ მოძრაობის რიტმის დათვლა შეუძლებელი ხდებოდა, მაგრამ დათვლის დროს, როცა კი ეს შესაძლებელი იყო, რიტმი არასოდეს არ დიდებოდა ნორმასთან შედარებით. აცეტილქო-

ლინის ზემოქმედების ეფექტის ხანგრძლიობა მეტი ასაკის ემბრიონებზე 15-შინუტამდე აღწევდა.

აცეტილქოლინის მოქმედება ჩვენ შევამოწმეთ აგრეთვე ეჭერინით. როგორც ცნობილია, ეჭერინი აკავებს ქოლინესტერაზის მოქმედებას, ე. ი. იმ ფერმენტის მოქმედებას, რომელიც შლის აცეტილქოლინს. ამიტომ ეჭერინიზაციის პირობებში აცეტილქოლინს უფრო ხანგრძლივი მოქმედების შესაძლებლობა ეძლევა. მაგრამ ჩვენს ცდებში აცეტილქოლინის ეფექტი არ იცვლებოდა იმასთან შედარებით, რაც ეჭერინის გარეშე იყო. შეიძლება დაუშეათ, რომ ემბრიონის განვითარების აღრეულ სტადიებში ამ ფერმენტის პროდუცირება მცირე რაოდენობით ხდება [4].

მხედველობაში გვქონდა რა აცეტილქოლინის მოქმედების დამოკიდებულება წყალბად იონების კონცენტრაციაზე, ჩვენ მიერ დაყენებული იყო ცდა ამნიონისა და ემბრიონის მოძრაობაზე აცეტილქოლინის ზემოქმედებისა წყალბად იონების სხვიდასხვა კონცენტრაციის პირობებში. ამ ცდებმა დაადასტურა ზოგადი კანონზომიერება. ემბრიონის აგზებადი სისტემების მგრძნობიარობის მომატება ხდებოდა pH-ის გადიდებასთან ერთად [5]. ამნიონისა და ემბრიონის მოძრაობაზე უფრო ძლიერ მოქმედებას აცეტილქოლინი იჩინდა 7,62 pH-ის დროს. pH-ის შემცირებისას, ნეიტრალურ წყრტილშე ქვევით, მოძრაობა სუსტდებოდა ან სრულიად წყდებოდა და ემბრიონი კვდებოდა, რაც იღბათ, ხსარის ზედმეტი შემცირებით იყო გამოწვეული.

ამ მონაცემებით გამომდინარე გასაგები ხდება, რომ მოძრაობის გაძლიერება, აღბათ, ამნიონისა და ემბრიონის კუნთოვან წარმოქმნათა აგზებადობის მომზადებით არის პირობადებული. მაგრამ აცეტილქოლინი, როგორც ჩანს, არ ახდენს გავლენას მოძრაობათა რიტულობის გამომწვევ მექანიზმებს.

შემდეგ, ჩვენ გამოვიკვლიერ ემბრიონისა და ამნიონის მოძრაობა აღნიოზინტრიფუსტატის (ატჟ) ზემოქმედებისას, რომლის კონცენტრაცია უდრიდა 1:1500, ხოლო რაოდენობა 0,5 და 1 მლ. ადენოზინტრიფუსტატის მოქმედების ლატენტური პერიოდი 10—15 სეკუნდს აღწევდა, რის შემდეგაც იწყებოდა ამნიონის შეკუმშვა და რიტული რყევითი მოძრაობის ამპლიტუდის გაზრდა. მოძრაობაში თანდათან ებმებოდა მთელი გარემო,—როგორც ყვითრი, ისე სისხლის ძარღვები. მაგრამ მოძრაობის გაძლიერება ატჟ-ს მოქმედებისას უფრო აშერად ჩანდა მოზრდილ ემბრიონებში; სხეულის ცალკეული ნაწილების მოძრაობა ძლიერდებოდა და უფრო მკვეთრი ხდებოდა, რაც, აღბათ, კუნთების ინტენსიური შეკუმშვით იყო გამოწვეული. როგორც ჩანს, ატჟ თავის ფინიოლოგიურ მოქმედებას აშენდებოდა ემბრიონული კუნთის შეკუმშვად ნივთიერებაზე. ეფექტი გრძელდებოდა 10—15 მინუტს. განმეორებით მოქმედებისას ივერე მეორდებოდა, მხოლოდ მით უფრო მკაფიოდ, რაც უფრო მოზრდილი იყო ემბრიონი და რაც უფრო მეტი დრო იყო გასული წინა ცდის შედეგ.

ჩატარებული იყო აგრეთვე დამატებითი ცდები ატჟ-ს გავლენისა C++ Mg⁺⁺-ის სიკარბის პირობებში. გამოირკვა, რომ კევრტზი კალციუმის წინასწარ ჭირდიდ შეტანის შემდეგ ატჟ-ს მოქმედება აღარ იწყევდა ისეთ-

ხანგრძლივ ეფუძტს, რომელიც შემჩნეული იყო ნორმალურ პირობებში. მაგნიტის წინასწარ შეტანის შემთხვევაში კი ატჟ-ის მიერ გამოწვეული ეფუძტი უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა.

ეს ფაქტები გასაგები იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კალციუმი იწვევს იმ ფერმენტის აქტივობის გაძლიერებას, რომელიც ატჟ შლის. მიმტკიც კალციუმის შემცევე შეტანილი ატჟ სწრაფად იშლება და ამნიონისა და ემბრიონის მოძრაობაზე მისი მოქმედება უფრო მკეთრია, მაგრამ ხანმოკლე. მაგნიტი კი, ჩვერ მიერ ხმარებული კონცენტრაციით, პირიქით, ფერმენტის მოქმედების აფერებს, რაც ქმნის ატჟ-სათვის ხელსაყრელ პირობებს ნაკლებად მკეთრი, მაგრამ ხანგრძლივი მოქმედებისათვის.

შემჩნეულია, რომ შეკუმშვისათვის საჭირო ენერგია მიიღება ატჟ-ის უშუალო დაშლისას. აქედან ცხადი ხდება, თუ რატომ წარმოებს ატჟ-ის ზემოქმედების დროს ამნიონისა და ემბრიონის კუნთოვან წარმოქმნათა შეკუმშვის გაძლიერება. განსაკუთრებული გაძლიერება სხეულის ნაწილებისა პირობადებული უნდა იყოს ჩინჩხის მუსკულატურის ძლიერი შეკუმშვით.

ჰისტამინის შეყვანისას უფრო სხვა სურათი მიიღება, ვიდრე აცეტილქოლინისა და ადენოზიტრინოფოსფატის შემთხვევაში. სახელდობრ: ჰისტამინი 1:1000 კონცენტრაციით 1 მლ რაოდენობით ამნიონისა და ემბრიონის მოძრაობის შესამჩნევ გაძლიერებას არ იწვევს. მაგრამ ძალა დროს საყურადღებოა მსხვილი სისხლის ძარღვების ზიგზაგისტური მოძრაობის გაძლიერება, შესაძლებელი იყო ერთ მინუტში სისხლის ძარღვების 26—28 ზიგზაგისტური მოძრაობის დათვლა, მაშინ როდესაც ამნიონისა და ემბრიონის რიტმული მოძრაობა ერთ მინუტში 10—12 არ აღვმატებოდა. აღსანიშნავია, რომ სისხლის ძარღვების მოძრაობა, ჩვეულებრივ, მიჰყება ამნიონის რიტმულ მოძრაობას.

თუ მივიღებთ მხედველობაში გლუც კუნთხზე ჰისტამინის მოქმედებას, კერძოდ სისხლის ძარღვების განვიკვეთის შემცირებას (გარდა კაპილარებისა), გასაგები ხდება, თუ ჰისტამინის მოქმედება რატომ შელავნდებოდა მხოლოდ სისხლის ძარღვებშე.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

1. აცეტილქოლინის მოქმედება ამნიონისა და ემბრიონის მოძრაობაზე დამოკიდებულია წყალბად იონების კონცენტრაციაზე: ცდის პირობების მიხედვით შესაძლებელია აცეტილქოლინის ორგორუ გამალიზიანებელი, ისე შემაკავებელი მოქმედების აღმოჩნდა.

2. ჰისტამინი ამნიონის მოძრაობის ხასიათს არ ცვლის, მაგრამ იგი სპეციფიკურად მოქმედებს სისხლის ძარღვების შეკუმშვისზე.

3. ადენოზინტრინოფოსფატის მოქმედება უფრო ეფუძტიურად შელავნდება მოზრდილ ემბრიონებზე. ეს გამოიხატება ემბრიონის სხეულის ცალკეული ნაწილების დიფერენცირებულ მოძრაობაში.

4. იციტილქოლინისა და ადენოზინტრიფოსფატის ამნიონის რიტმულ ჰომინობაზე მოქმედების შედარება მათ მოქმედებასთან კუნთოვან ქსოვილზე ადასტურებს ამნიონში კუნთოვან წარმოქმნათ არსებობას და იძლევა უფლებას დაფუძვოთ, რომ ამნიონის რიტმული მოქმედება დაგვემირებულია მის შემკუმშვად მექანიზმთან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 აკად. ივ. ბერილაშვილის სახელმის
 ფიზიოლოგიის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 26.10.1949)

დამოუმაული ლიტერატურა

1. J. Needham. Biochemistry and morphogenesis. Cambridge, p. 66, 1942.
2. Руководство по зоологии, т. 6. Москва, 1940, стр. 399.
3. Н. М. Чичинадзе. О возникновении и развитии нервной деятельности у эмбриона курицы. Труды Гбили. Гос. Ун-та им. Сталина, т. XXIIa, стр. 61, 1944.
4. Z. Y. Kuo. Studies of the physiology of the embryonic nervous system. IV - Development of acetylcholine in the chick embryo. J. Neurophysiol, 2, p. 488, 1939.
5. П. А. Кометиани. Исследование влияния ацетилхолина на равномерное сокращение миогеном. Биохимия, т. 13, стр. 137, 1948.

სიტყრატურის ისტორია

შეიძლება გვიაღმისა

ზოგი რამ რუსთაველის შეიძლება მხატვრის შესახებ?

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პ. კაკელიძემ 6.4.1950)

ვეფხისტყაოსანში შეუნელებელ საკულტურაძიებო ინტერესს აღმრავს ავთან-დილის ვედრება, რომელიც შეიძლება მიმართული ([1], სტროფები 957—964).

ამ გასამკარი განცდითა და ექსპრესით დაწერილ სიმღერაში რუსთაველი იძლევა შეიძლი მნათობის დახასიათებას მათუამი იდმინის დამოკიდებულებაში. თითოეულ მნათობს ავთანდილი განსაკუთრებულ საგანსა და მღვმარეობაზე ესაუსრება.

ასე, მაგ., ავთანდილი შეს სიკეთეზე ესაუსრება, ზუალს—ცრემლსა, კაე-შანსა და ჭირზე, მუშაორს—სამართალზე, მარიხს—ლანგარსა, ჭრილობასა და სისხლზე, ასპირინზე—შევენიერებაზე, ოტარილს—სწირ-კალაშია და მელანზე, მთვარეს—უძლურებაზე. მათდამი ასეთ მიმართვაში საგრძნობი ხდება, რომ ეს შეიძლი ვარსკვლავი, როგორც ღვთაებანი, განსაკუთრებული თაყვანის ცერეს ობიექტს წარმოადგინს.

ასეთი თავისებურება თითოეული მნათობის დახასიათებისა, მათი განსხვავებული ბუნებისა და თვისების აღნაშვინით, საჭიროებას იწვევდა გარკვეულყო საფუძველი როგორც მთლიანად ამ ვედრებისა, ისე ცალკეული მნათობის გაზრდებისა, მათდამი მიმართვის სპეციფიური მნიშვნელობით.

ავთანდილის მნათობთაღმი ვედრების ამ განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ხასიათს პირველად ყურადღება მიიკუთა ვახტანგ VI ვეფხისტყაოსანის 1712 წლის გამოცემის კომენტარებში. ის მნათობთაღმი ავთანდილის გაბასებაში ასტროლოგიურ საფუძველს ხედავს: „აქ შეიძლი ცდომილი ვარსკვლავი მოუყავინა და თავისი ცოდნა და სიბრძნე გამოიწინია. ამ ვარსკვლავებს თვითონა და თვითოს სხვა და სხვა ბუნება უფლება აქტსთ. ამბავი გარჩევით ჩენ სიგრძისათვის არ დაესწერეთ და ესაც შეტყობა გინდოდესთ, საერთო და სავარსკულავორიცხო ნახეთ და იქ შეიტყობთ და ამხების მოუყანაც უთქვამს ვიცოდით“ ([2], გვ. ტმე, სტროფი შმხ-ს განმარტება). ამავე დროს მეტად საყურადღებოა, რომ პოემის ტექსტში ვახტანგი ცალკე სათავრით გამოყოფს მთლიანად ამ ვედრების: „აქა ავთანდილ ვარსკვლავთა ეუბნების თავის ბუნებასა“. ასევე გამოყოფილია თითოეული მნათობისაღმი მიმართული სტროფიც.

(1) ვრცლად წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელმძის ქართული დიტორატურის ისტორიის ინსტიტუტის სამსახური 1946 წლის 15 მარტს.

ზუალს უძლვის სათაური: ამას სევდიანთა ეტლად იტყვან; მუშთარს—ამას მოსამართლეთა ეტლად იტყვან; მარის—ამას მესისხლეთა ეტლად იტყვან; ასპირინს—ამას მკურნალთა ეტლად იტყვან; ოტარილს—ამას მწიგნობართა ეტლად იტყვან; მთვარეს—ამას მოწყალეთა და სნეულთა ეტლად იტყვან.

აქედან ცხადია, რომ ვატანგისათვის ძირითადად გარკვეული იყო რესთაველის ამ სტროფების წყარო და მნიშვნელობა ასტროლოგიური თვალთახედით¹. თეომურაშ ბაგრატიონიც ძირითადად ამავე საფუძველზე—მნათობთა ასტრალურ ღვთაებებად გავებაშე, ხსნის ამ სტროფების შინაარსს, მხოლოდ უფრო მეტი დეტალების აღნიშვნით. შეიდეული მნათობის შესახებ ის საერთოდ შენიშვნას: „ამათ შეიძლთა ცდომილთა, ვითარცა მეტოლოგია გვასწავებს, უწყოდენ ღმერთებად და ამისთვის თჯთოეულსა ხარაგტირსა კაცთასა ამათ მიერ ჰგონებდეს მოცემასა. ამისთვის ეტლად ანუ სვედ კაცთა მათ სახელსდებენ“ ([3], გვ. 116); ამის შემდეგ ის თითოეული მნათობის განმარტებას უფრო გრძლად იძლევა.

მნათობთა ასეთი გაგება საცხებით ეთანხმება ასტროლოგიაში შემუშავებულ იმ ასტროფიზიურ და ასტროფიზიოლოგიურ წარმოდგენებს, რომელიც ცნობილნი იყვნენ ანტიკიდან დაწყებული თანამედროვეობამდე. ამის მიხედვით მართლაც თითოეული პლანეტა, ასტროლოგიური წარმოდგენით, გარკვეულ კეთილ ან ბორიტ ღვთაებას ასახიერებს. პლანეტები სულიერი სხეულებია და, როგორც ადამიანები, სულიერი თვისებებით არიან დაჯილდოებული. მათ აქვთ გარკვეული სქესი, ფერი, გემო, კლიმატური პირობები, მიკუთვნებული აქვთ ადამიანის რომელიმე ორგანოს სიმბოლური ნიშანი და რომელიმე თვე და კვირის რომელიმე დღე- ყოველ მათგანს აქვს თავისებური ხასიათი იმის მიხედვით, თუ რომელ ცხოველთანაა სიმბოლურად დაკავშირებული, რა სახით ვლინდება მათი ადამიანებზე ზედოქმედება და რის მფარველობა ან მტრობა ეკისრება თითოეულ მათგანს ([4], გვ. 464).

ეს თვისებანი მტკიცედ იყო ვანსაზღვრული და საერთაშორისოდ მიღებული; საყურადღებოა, რომ ისინი მთელი სიზუსტით გამოხატულია ქართულ საასტროლოგით წიგნშიც, სიდაც ცომილთა ამ ნიშანითვის მთელი ცხრილია შედგენილი: იქ გათვალისწინებულია სიდიდე, სიმაღლე, ცისსარტყელი, ქვეყნის ნაწილი, ფერი, მამალი და დედალი, ასოთაგან გარეგანი, ჰავი და კარგი, გემო, სატერველი და სხვ. [6].

ამ ნიშანთა გათვალისწინებით საცხებით ნათელი ხდება, რომ შეიძლი მნათობი რესთაველს ავთანდილის ვედრებაში დახასიათებული აქვს ასტროლოგიური შეხედულების მიხედვით; ამ დახასიათებაში ძირითადად განმეორებულია ცალკეულ მნათობთა ყველა ის თვისება და ნიშანი, რომელიც უძველეს დროიდან მუშავდებოდა სხვადასხვა ვარიაციით ვარსკვლავთმრიცხველობაში.

¹ ვასტანგ VI რუსთაველის ამ სტროფების ასტრალური საფუძვლით დაინტერესება რომ შეეძლო და საამისო საჭირო ასტროლოგიური ცოდნაც ჰქონდა, ჩანს იქიდანაც, რომ ქართული კვლაბური უძველესი ასტროლოგიური წიგნი 1210 წლის თარიღით (საქ. მშენები—A 65) მას შელთ ჰქონია. მასვე უთარგმნია ცნობილი ულულებების „ზიჯის“ წიგნი (S 161).

როგორც ვხედავთ, ვახტანგი და თეიმურაზი ზოგადად სწორ ნიადაგზე იღენნ რესთაველის მნათობთა დახასიათების წყაროს განმარტებაში, მაგრამ ზოგადად ზოგადად, რაფან აქ საინტერესოა დეტალები, რომლისთვისაც მათ ყურადღება არ მიუქცევიათ.

ამ თვალსაზრისით ავთანდილის ლოცვის მიხსნა მეტად საგულისხმოდ სცადა სპეციალურ ნაკვლებში ზურაბ ავალიშვილმა [5], რომელიც არსებითად იმავე ასტრალური საფუძვლით, რაც ვახტანგსა და ომიურაზს აქვთ მოცემული, სარწმუნოდ არკვევს მნათობთა ცხოვრების ბეჭრ საინტერესო მხარეს მათთან ადამიანების დამოკიდებულების თვალთახედვით, თუმცა ზოგიერთ ცალკე საკითხში ისიც მხედველობიდან უშვებს მეტად საყურადღებო არა ერთსა და ორ დეტალს. ამასთან ერთად კულტურის, ცოდნისა და, კერძოდ, ასტროლოგიური საკითხების კვლევაში ის უსაფუძღლოდ ეძებს არაბულ გავლენას.

აქ აღძრული საკითხის მიმართ ზ. ავალიშვილი ამბობს: „არაბული ტრადიცია გასაღებს გვაძლევს ავთანდილის ლოცვის ზოგიერთ ადგილთა გამოსარჩევად“ ([5] გვ. 10), მაშინ როდესაც მავე საკითხების გადაწყვეტაში შესაძლებელი იყო ქართული, შინაგანი ნაციონალური, ძირების მიკვლევა. ქართული სინამდვილე თავისი ცოდნისა და გინათლების ტრადიციებით მრავალ მონაცემს შეიცავს ბევრი ასეთი საკითხის ადგილობრივ, ნაციონალურ ნიადაგზე, ამონსნისათვის.

ჩვენი გამოკვლევის მიზანია მეტი სიცხადე შეიტანოს ავთანდილის ამ ვერცხების ზოგი ადგილის გაგებაში ორი კონტრტული საკითხის გარკვევით. პირველი მათგანია საკითხი მნათობთა მოხსნიერების რიგის შესახებ ავთანდილის ვედრებაში; იგი დასვა ზ. ავალიშვილმა, მაგრამ, ჩვენი აზრით, სამიროებს კორექტივს. შეორეა — სტროფა, რომელიც შეიცავს ავთანდილის ზუალისადმი მიმართვის ზოგ თავისებურებას. ეს საკითხი ჯერ არ ყოფილა აღძრული და ჩვენ ვაქცევთ მას მსჯელობის საგნად.

I. ავთანდილის ეს ლოცვა აგებულია მნათობთა დასახელების გარკვეული თანმიმდევრობით. ის იწყება მზისდამი მიმართვით და მთავრდება მთვარით: მზე, ზუალი, მუშთარი, მარიხი, ასპირინი, ოტარილი, მთვარე. ამ ადგილის კითხვისას თავისთავად იბადება ინტერესს მნათობთა დალაგების თანმიმდევრობისადმი. მირთლაც, მნათობთა დალაგების ეს რიგი შეიცავს რაიმე წესს, შათ თანმიმდევრობაში არის რაიმე გარკვეული საფუძველი, თუ აქ ცოორილთა შემთხვევითი დასახელებაა?

სამყაროს აგებულების თვალსაზრისით, ცოორილთა დასახელების ეს რიგი, შეის გამონაკლისით, ირკვევა, რომ საესებით ეთანხმება ამ მნათობთა რეალური მდებარეობის რიგს, დედამიწასთან სიახლოვე-დაშორების მიხედვით; ეს დალაგების წესი დიდი ხნით აღრევე ყოფილა ცნობილი ძეველი აღმოსავლეთის ხალხებსა და ძველ ბერძნებშიც ([4], II, გვ. 6); უახლეს ასტრონომიულ გამოანგარიშებასაც კი ამ განსაზღვრაში არაფერი არ შეუცვლია. ამიტომ ზ. ავა-

ლიშვილი, აკანდილის მნათობთადმი კერძობაში მათი განრიგების საკითხზე რომ ჩერდება და აღნიშვნას „ამ შეიძ მნათობთა რიგი მათი დედამიწიდან და-შორების მიხედვითაა გაეკეტებული, თანახმად პროლოგმეს სისტემისა“-ის ([5], გვ. 5), მთლად სწორი არ ირას, რადგან ის პროლოგმდეც (II საუკ. ქ. შ.) იყო ცნობილი [4] და, მაშისადამე, ქართველებსაც შეეძლოთ ძევლთაგანვე სცოდნ-დათ იგი. ამიტომ რუსთაველს არც შეეძლო ისინი სხვანაირად დაელგებინა.

ამავე დროს ბეჭური საინტერესოა დალაგების რიგში ერთგვარი ცელი-ლების შეტანა იმით, რომ მზე ავთანდილის ვედრებაში რუსთაველს პირველ იდგილზე იქცა მოთავსებული, ასტრონომიის მიხედვით კი ის, როგორც ცნობილ ა, დედამიწიდან სიშორის მიხედვით, მეოთხე იდგილზე მდებარეობს. საიდან წარმოიშვა ეს განსხვავება? თუ ყველა მნათობის განლაგება ეთანხმება ასტრონომიულ მონაცემებს და პოემაში მათი რეალური მდებარეობაა ასახული, მშე რატომ არა თავის ადგილას ნაჩინები?

ამ ფუტკრს—რომ მზე, მეოთხეს მაგივრ, პირველ ადგილზეა ნახსენები, ზ. ავალიშვილი „პოტეის სურვილით“ ხსნას, რომელსაც თითქოს უნდოდა ამით „მზეს მისი ადვილად გასავეგი პირველობა შეტჩენოდა“ ([5], გვ. 5), რისთვისაც რესთაველია „ამ სქემაში ერთადერთი ცვლილება შეიტანა იმით, რომ პირველად მზე აბნენა“ (იქვე). მაგრამ, როგორც ირკვევა ასტროლოგის ისტორიით, მზის პირველ ადგილზე მოთავსება, მეოთხის მაგივრ, მხოლოდ რესთაველის სურვილით არ აისანება. ეს უძველეს ტრადიცია ყოფილია. მზე საბერძნებთში ასეთივე პირველმნიშვნელობისა იყო და მისი ასტრონომიული რიგიდან გამოყვანა ადრევე შემუშავებულა, როგორც უდიდესი ღვთაებისადმი თაყვანის ცენტის ფაქტი. ასე რომ რესთაველს, რომელიც კარგად იცნობდა იმ ღროვის ასტროლოგიურ შეხედულებებს, შეეძლო მნათობთა ამ რიგის დარღვევაც— მზის მეოთხედან პირველ ადგილზე გამოყვანა სცოდნოდა.

II. ავთანდილის ლოცვაში გამოხატული ცალკეულ მნათობთა დახასიათების შინაარსი რომ საესპირაცია ეთანხმება ასტროლოგიურ შეხედულებებს, ეს ვახტანგსა და თეიმურაზსაც აქვთ შენიშვნული თავის კომენტარებში; მაგრამ ზოგადად. ზ. ავალშვილმა მმ გავებს ის დაუმიტა, რომ ველრებაში გამოხატული მნათობთა დახასიათების ზოგი დეტალი უფრო კონკრეტული მასალის ჩვენები ი ახსნა, მაგრამ არა ბოლომდის საქამარის დამაჯერებლობით. ამიტომ ჩვენ მათგან ისეთი გვაინტერესებს, რომელიც რატომდაც სრულიად შეუძინეველი დარჩია, ან უფრო მეტ გარემოებს მოითხოვს.

მნათობთა წრეში ამ თველსაშრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ზუალი, იგივე სატურნი ან კრონისი, ქალდური ნინიბუ. ის მამრობითი სქესის მავნე ღვთებიდან ითვლება. მას უკავშირდება კაეშანი, ავადმყოფობა, სისუსტე, სიბნელე, უბედურება. მფარევლობს მღვდლებს, ბერებს, მოხუცებს. ეს ნიშნები და შეხედულებანი, რომელიც თვით ცოდნილის ასტრალურ თვისებათაგან გამომდინარეობენ, თანდათანობით გამომუშავდა. რატომ დაუკავშირდა ზულს ბოროტება? ადამიანებში ზუალის ცვითელი რეალი თავიდანვე ბადებდა ზიშა და ყოველივე ცუდის წარმოდგენა. ის შორსაა მიწისაგანაც და მზისაგანაც. ის ცივია და მშრალი, რის გამოც მავნეა და ამდენადვე ბოროტებასთანაა დაკავშირებული ([4], 463).

ყველა ეს თვისება გამოხატულია ავთანდილის მიმართებში. ზუალს ის ესა-უბრება ცრემლსა, ჭირსა, სიბრძლესა, კაეშანსა და საერთოდ გაჭირებაზე. ამ სტროფის ასწავში ავალიშვილი აღნიშნავს მხოლოდ ორ მომენტს, რომლითაც რუსთაველი ასტროლოგიურ გავებას მისდევს. ეს არის სიშავე, სიბრძლე და ზუალის ბოროტ ლეთაებად გამოხატვა, ასაშიც იმოშებს საბეელთა სექტის ლოცვის ერთ ადგილს: „კურთხეულ იყავ შენ, ღმერთო, რომელსა სიბოროტე ბუნებად გაქცს მინიჭებული,, რომელიც ხარ უბედურება და წინააღმდეგი ბედი-სა...“ ([5], გვ. 11). მართლაც, ყველაფერი ეს საერთოა რუსთაველთან:

„მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული ზავად შემიღებე, საბნელესა მიმეც შშირსა“ ([1], 958).

სპეციფიკურ ნიშანთა ასეთი აღნიშნით რუსთაველი შეიძლეულ მნათობთა-გან თითოეულს ახასიათებს თავისებური შინაარსით. ასე მაგ., მარის, იმავე მარსს, ქალდურ ნერგალუს, მამრობითი სექსისას, წითელი ფერის სიყვდილის ლვთაებას, რომელსაც საერთოდ სისხლი უკავშირდება, მფარეველობს ჯალა-თებს, მეომრებს, ექიმებს, მზარეულებს, მეცნიერებს, ე. ი. ისეთი პროფესიის ადამიანებს, რომელთაც თავისი საქმიანობით ჭრასა და სისხლთან აქვთ საქმე, პოეტი ავთანდილის მიმართებაში ასე ახასიათებს:

„მოდი, მარის, უწყალდ დამჭერ ლაპერითა შექითა.
შეცალებე და შემსურე წითლად სისხლისა დენითა“ (960).

ეს ეთანხმება აგრეთვე, როგორც შ. ავალიშვილი აღნიშნავს, ქარანელთა კულტის მიხედვით შემუშავებულ შემდეგ გაგებას: „გიყვარს შუოთი, კვლა, განად-გურება, ცეცხლის მოკიდება და სისხლის ლერა“ ([5], გვ. 11).

ამრიგად, ეს ყველაფერი გასაგებია და თითქო აქ არაფერი არ რჩება ბუნ-დოვანი. როგორც ზუალის, ისე მარისისადმი მიმართვაში რუსთაველი ერთ-გვარად გასაგები ნიშნებით ახასია მათ ასტროლოგიურ შინაარსს. ისინი პოეტური ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენენ. ყველაფერი თავისებურად რეა-ლურია ძეველი ვარსკვლავთმრიცხველობის თვალთახდევით. მაგრამ აქ მაინც რჩება ერთი საყურადღებო დეტალი, რომლისთვისაც ჯერ არავის არ მიუქცე-ვია ყურადღება.

კერძოდ, რას ნიშავს ზუალისადმი მიმართულ სტროფში ტაქპი:

„შემოშარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა“?

რატომ დასჭირდა აქ რუსთაველს ვირის სხენება? ხომ არ უნდა ვითაქ-როთ, რომ ის რითმის საჭიროებით იყოს გამოწვეული: „ჭირსა, ხშირსა, ვირსა, ტირსა“ და, ასე ვთქვათ, შემთხვევით იყოს გამოყენებული? ამოცანა იხსნება სწორედ იმავე ასტროლოგიური წარმოადგენით, რომლის გათვალისწინებაც საგსებით ნათელყოფს, რომ აქ რუსთაველს ვირი შემთხვევით არ უსხენებია.

მოვიგონოთ, რომ ყოველ ცომილს ცხოველთან დაგვაშირებული საკუ-თარი ზოდიაქალურ-სიმბოლური ნიშანი გააჩნია. ასე, მაგ., მზის სიმბოლოა-

ლომი, მუშთარისა—არწივი, მარისისა—მგელი, ასპირინისა—მტრედი, ოტარიდისა—ვეშაპი, მთვარისა—ხარი. ჩვეულებრივად გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ზუალის ნიშანია მერწყული (წყლის საქანელა). ქართულ ხელნაშერში მხოლოდ თხის რქა იღნიშვნულია: „თხისა რქისა ბურჯი ზუპალისა სახლისა არს“ [6]. საჭიროა აღვნიშვნოთ, რომ ეს სიმბოლური ნიშნები ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილია. მათ წირმშობა-გამომუშავებას რთული ისტორია აქვს მითოლოგიასთან დაკავშირებული, და ისინი ხშირად იცვლებოდნენ იმის მიხედვით, თუ ადამიანის ფანტაზია როგორ აღჭურავდა მათ ერთმიტორულზე უსაკეირევლესი თვისებებით. ამ სიმბოლოთა ურთიერთდაავშირების საფუძველთა გათვალისწინებითა და ათანდათონბითა შემუშავების საფუძურების [გამოწვლილით ირკვევა, რომ ზუალის ასეთსავე სიმბოლოს წირმოადგენდა ვირი.

ზუალისათვის თხის რქისა და მერწყულის დაკავშირების საფუძველი იყო ამ ცოდნილის ნოტიობა, წყლიანობა. ამდენიდ გასაგებია, თუ რატომ გახდა ეს ნიშანი, რომელიც მის ერთ-ერთ თვისებას გამოხატავს, შედარებით პოპულარული; მაგრამ ამასთან ერთად ზუალი არა ნაკლებად იქცევდა ყურადღებას თავისი უძრაობით და სიზარმაცით, ისეთი თვისებებით, რომლებიც ქველთაგანვე შემუშავებული წარმოდგენით ვირს ახასიათებს. ამიტომ ვირი ზუალის ისეთსავე ნიშანად იქცა, როგორც თხის რქა ან მერწყული. თუ რატომ იყო ეს ნიშანი სხვა ცხოველთან შედარებით უფრო ნაკლებპოპულარული, ესეც თავისთავიდ გასაგებია.

ამის შემდეგ მისახვედრია, თუ რატომ ახსენებს აფთანდილი ზუალისადმი ვეღრებაში სწორედ ვირს:

„შემომარე კავშანი, ტყირთი მძიმე, ვითა ვირსა,
მას უზარ თუ ნუ გასწირავ, შენია და შენოვის ტირსა“.

აქ ვირი ზუალის ზოდიაქალური ნიშანია და რუსთაველს არ შეეძლო მისთვის საფსებით აევლო გვერდი, ან სხვა ცხოველი ეხსენებინა, რადგან მან კარგად იცის ყოველი მათვანის საეციფიური ასტრალური მნიშვნელობა და საჭიროება.

აქედანვე ისიც ნათელია, რომ ამ სტროფის საერთო სახისათვის ეს სიტყვა ძირითადი ელგმენტია და მის გააზრებაში იუცილებელი. ვირი თვითონ ზუალის ნიშანია,—ამით შინაგანადაა გამართლებული ამ ცოდნილის ხასიათი, გმირის განწყობილებასთან დაკავშირებით. ავთანდილი ღვთაებას ეჯვება, ამიტომ გასაგებია, რომ ამ ღვთაებას სწორედ ვირს უსხენებს—მის ზოდიაქალურ ნიშანს, რომელიც ჩვეულებრივს წარმოდგენაშიც სიმძიმესთან, ტყირთის ზიდვასთან, გაჭირება-დაღლასთან და უძრაობა-სიზარმაცესთანაა დაკავშირებული.

ამიტომ ამ სტროფში მისი შეცვლა სხვა სიტყვით აზრს უკარგავს თქმას. ასეთი საეჭვო დამოკიდებულება ამ სიტყვისადმი იყო, ალბათ, საფუძველი რუსულ თარგმანებში მისი გამოტოვების ან შეცვლისათვის. ბალმონტს ეს სიტყვა, როგორც თითქოს ზედმეტი, თარგმანში სულ გამოიურვება:

„Грустъ пустъ ляжет, с грудои груда, точно тяжесть на верблюда“
 აქ სიტყვა „ვირი“ შეცვლილი „აქლემით“, ცხადია იმიტომ, რომ მთარგმნელს ვის გაუსხნია იგი როგორც სახე.

ეფუძისტყაოსნის რუსულ სხვა თარგმანებში ეს სიტყვა დატოვებულია, თუმცა რამდენადმე სხვანაირი გააზრებით. პეტრ რენკოს თარგმანი:

"С ношей скорби, словно мулу, к тайной выведи стезе".

შ. ნუკუბიძეს ეს ტაეპი ასე აქვთ თარგმნილი:

„Бремя мук, как ношу мулу, ниспошли мне с высоты⁴.

მწერალ გ. ვაკერლის თარგმანით:

„Нагрузи меня, как мула, безысходными скорбями“.

მაგრამ ცხადია, რომ რუსთაველის ამ სახის ნამდვილი საფუძვლის ბოლომდე აუსტრიულობა აქაც ქართულ სიტყვას „ვირს“, რომელიც რუსული „ocel“-ის შესატყვისად, აქცევს რუსულ „мул“-ად, რითაც მთელ თქმას, როგორც დაგრძელებით, ჰეშმარიტი ასტრალური აზრი და ნამდვილი მნიშვნელობა ეკარგება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

ନେତ୍ରବିକାଳ ପାଇଁ

(რედაქციას მოწვევა 6.4.1950)

କେବଳ ପାତାର ମାତ୍ର ।

- ვეფხისტყაოსანი, 1937 წ. საიუბილე გამოცემა.
 - ვეფხისტყაოსანი, ვახტანგის ული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის
მიერ, ტკილისი, 1937.
 - თეომურა ბაბატი იონი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა. საქ. მუს. ხელნაწერ-
თა ფონდი, S 3715.
 - Ф. Ф. Зелинский. Умершая наука. Вестник Европы, 1901, X, №. 441—484; XI, №.
1—56.
 - ზ. ავალი შვილი. ვეფხისტყაოსანის საკითხები, 1931.
 - ხელნაწერი საქ. მუსეუმისა, ფონდი A № 65.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ს. ჭილაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, აგ. წერეთლის ქ. № 7

სელმოწეროილია დასაბ. 29.4.1950

ანაზღობის ზომა 7X11

საბეჭდი ფორმა 4

სააღრიცხვო-საგამომც. ფურცელი 5

ტირაჟი 1500

შეკ. 277

ზვ 02347



ფაზი 5 გან.

5.73/156.

დ ა მ ტ პ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის მიერ
22.10.1947

დებულება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოახდის“ შესახებ

1. „მოამბეში“ იძექდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მუშა-
კებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გამოიყენებულია მათი გამოყენ-
ების მთავარი ჟღერებები.

2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „მოამბე“ გამოდის ყოველთვიურად (თვის ბოლოს), გარდა იყლის-აგვისტოს თვისა—
ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 5 ბეჭდური თაბაზის მოცულობით თითოეული, ერთი წლის
გველა ნაკვეთი (სულ 10 ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.

4. წერილები იძექდება ქართულ ენაშე, იგივე წერილები იძექდება რუსულ ენაშე პარა-
ლელურ გამოცემაში.

5. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდს.
არ შეიძლება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.

6. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერი-
ლები უშაულიდ გადაეცემა დასახელდა „მოამბის“ რედაქციას, სხვა ავტორების წერილები კი
იძექდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრისა ან წევრ-კორესპონ-
დენტის წარმოდგენით. წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქცია გადასცემს აკა-
დემიის რომელიმ ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსახილებულად და, მისი დადე-
ბითი შეფასების შემთხვევაში, წარმოსადგენად.

7. წერილები და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტორის მიერ სავ-
სებით გამზადებული დასახელდად. ფორმულები მკაფიოდ უნდა იყოს ტექსტში საწერილი-
ხელით. წერ ასის დასახელდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი შესწორებისა და და-
მატების შეტანა არ დაიშვება.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შექლებისდაგერად
სრული: საპიროა აღინიშნოს უზრანალის სახელშოდება, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა,
გამოცემის წელი, წერილის სრული სახელი; თუ დამოწმებულია წიგნი, საგლოდებულო
წიგნის სრული სახელშოდებისა, გამოცემის წიგნისა და ადგილის მითითება.

9. დამიწმებული ლიტერატურის დასახელება წერილს ბოლოში ერთობის სიის საპირო.
ლიტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იქნეს ნომერი სიის
მიხედვით, ჩასმული კვადრატულ ფოჩხილებში.

10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა უნდა აღნიშნოს სათანადო ენებები დასახე-
ლება და ადგილმდებარეობა დაწესებულებისა, სადც წესრულებულია ნაშრომი. წერილი
თარიღდება რედაქციაში შემთხველი დღით.

11. ავტორს ემლება გვერდებად შეკრული ერთი კორეკტურა მცაცრად განსაზღვრული
ვალით (ჩვეულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა). დადგენილი ვადისთვის კორეკტურის წარმო-
შვებელობის შემთხვევაში რედაქციას უფლება აქვს შეაქროოს წერილის დაბეჭდვა, ან დაბეჭ-
დოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ემლება მისი წერილის 50 ამონაბეჭდი (25 ამონაბეჭდი თითო-
ეული გამოცემიდან) და თითო ცალი „მოამბის“ ნაკვეთებისა, რომლებშიც მისი წერილია მოთავ-
სებული.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ქმნისამსახურის მ., 8.

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, т. XI, № 3, 1950

Основное, грузинское издание